K 8214/2

საკავშირო მშრომელ ეზრაელთა მიწათმოქმედი
საზოგადოება „მ ე ე მ ს ი“

К 8.214/2

ი. სუდარსკი

ბიროგიჯანი
და
პალესტინა

გამოცემა საქმეემსისა
ტფილისი – 1932

გან. „კოძუხისტი"-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68

დაკვეთა № 2137 მთავლიტი № 3078 ტირაჟი 1000

სპეც-2000
შეკვეთილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

ბირობიჯანისათვის ბოლომ ამის წინანდლამდეგ

როცა სახელმწიფო ორგანომ, კომზეტმა, რომელიც ხელმძღვანელობს ებრაელთა შორის გადასახლების საქმეს, საბოლოოდ გადასწყვიტა სთხოვოს საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს —გადაეცა ებრაელ ღარიბებისათვის ბირობიჯანის რაიონი შორეულ აღმოსავლეთში,—იგი გამომდინარეობდა ერთად ერთი მოსაზრებიდან: საბჭოთა კავშირში იპოვებიან ათიათასობით დეკლასირებული და ღარიბი ებრაელები, რომლებიც განიცდიან მძიმე ეკონომიურ კრიზისს; მათი ძველი შემოსავალი თანდათან ისპობა და საჭიროა მათი გადაყვანა შრომის სხვა დარგებზე, უმთავრესად სამიწადმოქმედო შრომაზე. 1927 წ. კომზეტმა გაგზავნა ბირობიჯანში ექსპედიცია, რომელიც შესდგებოდა სწავლულ და კვალიფიცირებულ სპეციალისტებიდან. კომზეტი, როცა გაეცნო ექსპედიციის მასალებს დარწმუნდა, რომ ბირობიჯანი წარმოადგენს სწორედ იმ ადგილს, რომელიც როგორც კლიმატითა და ტერიტორიის სიდიდით, აგრეთვე ბუნებრივი სიმდიდრეებით, რომლებიც იპოვებიან აღნიშნულ რაიონში—შეეფერება ებრაელთა მასიურ გადასახლებას და შეუძლია მისცეს შესაძლებლობა საბჭოთა ხელისუფლებას უზრუნველჰყოს მტკიცე ეკონომიური ბაზით ათეული ათასი ოჯახები, რომლებთაც ესაჭიროებათ დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდონ ნაყოფიერ შრომას, რაც არ შეუძლიათ ძველ საცხოვრებ ადგილებზე.

ამავე დროს კომზეტს ჰქონდა მხედველობაში აგრეთვე ებრაელთა მასების კულტურული ინტერესები.

ასეთი დიდი ფართობი მიწისა — თითქმის 4 მილიონი ჰექტარი, — სადაც დასახლდებიან კომპაქტურ მასე-

40 ფ.(18x13) [ფ ა/ა]

ბად ებრაელთა ოჯახების ათეული ათასები,—შეჰქმნის აგრეთვე ხელსაყრელ პირობებს მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მშობლიურ ენაზე.

კომზეტმა აღნიშნა დადებით მომენტად ის ფაქტი, რომ ბირობიჯანი ამჟამად თითქმის არ არის დასახლებული და ამ მიწებზე არ არიან პრეტენზიის მთქმელი ადგილობრივი მცხოვრებლებიდან; ეს გარემოება სპობს ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ აღმოცენდეს არასასურველი ნაციონალური გაუგებრობანი ძველ მცხოვრებლებსა და გადმოსახლებულ ებრაელების შორის.

საბჭოთა საზოგადოებრივობამ, რომელიც შეკავშირებულია მემმსის რიგებში და აგრეთვე ებრაელ მშრომელების და დეკლასირებულ ღარიბების ფართო მასებმა — მხურვალედ დაუჭირეს მხარი მთავრობის დადგენილებას ბირობიჯანის შესახებ.

შორეული ქალაქებიდან და დაბებიდან, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ ებრაელთა მასები — მიღებულ იქნა კომზეტში და მემმსში ასეული რეზოლიუციები, რომლებიც ენტუზიაზმით ესალმებიან საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ბირობიჯანის რაიონის გამოყოფის შესახებ ებრაელთა კოლონიზაციისათვის.

ებრაელთა მასებმა არა მარტო რეზოლიუციებით გამოსთქვეს თავისი სიხარული ბირობიჯანის გამო. ათასი ოჯახები მზად არიან ყოველ წუთს დაიძრაან თავიანთი ადგილებიდან, არ შეჩერდენ არავითარი სიძნელეების წინაშე და გაემგზავრონ ათასეულ ვერსებს იქით, რომ ააშენონ ახალი მოსახლეობა თავისი შრომითა და ოფლით.

კომზეტის პირველი ორი თანრიგი ათას ოჯახზე — დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული მთელი ასი პროცენტით — და მაინც ვერ დააკმაყოფილა იმ მასების მოთხოვნილება, რომლებიც უკვე მზად იყვნენ ბირობიჯანში გასამგზავრებლად.

მიტინგები და კრებები, რომლებსაც აწყობენ მემმსის ორგანიზაციები ბირობიჯანის შესახებ — იზიდავენ

მსმენელთა ათასებს. რაიმე პატარა ამბავი ახალი დასახლების შესახებ — დაუყოვნებლივ ნახულობს გამოძახილს ყველაზე უფრო მიყრუებულ ადგილებშიაც კი: ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმ გარემოებისა, რომ ბირობიჯანი უკვე გახდა ახლობელი და მშობლიური ებრაელ მშრომელებისათვის.

სრულიად სხვაგვარად შეხვდა ებრაელთა მასიურ კოლონიზაციას საბჭოთა კავშირში საერთოდ და კერძოდ კი საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ბირობიჯანის შესახებ — სიონისტური ბურჟუაზია. სიონისტები სთვლიან თავის წმინდა მოვალეობად დაიწყონ საზიზღარი კამპანია, რომელიც მიმართულია საგადასახლებო მუშაობის ჩაშლისაკენ საბჭოთა კავშირში.

რისთვის და რის გამო?

ოფიციალურად ისინი თითქოს გამოდიან „ღარიბი ებრაელი ხალხის" დამცველებად და ირწმუნებიან:

— ჯერ ერთი, კომუნისტებმა. წინასწარ, ეკონომიურად გაანადგურეს ებრაელები იმისათვის, რომ შემდეგ ისინი გადაესახლებინათ შორეულ, ველურ ქვეყანაში.

— მეორე, ბირობიჯანი, არ შეიძლება იქნეს მიმზიდველი პუნქტი ებრაელთა მასიური კოლონიზაციისათვის, მისი შორი მდებარეობისა და სხვა უარყოფითი პირობების გამო.

— მესამე, ბირობიჯანი არ არის ისეთი ადგილი, რომელსაც შეეძლოს გადასჭრას ებრაელი ხალხის არანორმალური ეკონომიური ცხოვრების პრობლემა — „ტყვეობის" ქვეყნებში („გალუთ").

ბურჟუაზიულ სიონისტებთან ერთად, მასვე იმეორებენ „პროლეტარული" სიონისტური ორგანიზაციები, რომლებიც სთვლიან თავის წმინდა „სოციალისტურ" მოვალეობად გააფრთხილონ ებრაელი მშრომელები კომზეტის და მემმსის გადაჭარბებულ „ილიუზიების" შესახებ ბირობიჯანის გამო.

რომ თვით მშრომელი მასები მოსულიყვენ ჩვენთან სერიოზული ეჭვებით ბირობიჯანის რაიონის მიზანშე-

წონილობის შესახებ ებრაელთა მასიური კოლონიზაციისათვის, ან და, რომ მათ გავეფრთხილებინეთ თუნდაც უბრალო რაიმე გადაჭარბებული ილიუზიების შესახებ,— მაშინ ჩვენი მოვალეობა იქნებოდა მოთმინებით მოგვეამინა მათი აზრები და შემდეგ მიგვეცა მათთვის ყოველმხრივი პასუხი.

მაგრამ, როდესაც ბირობიჯანის წინააღმდეგ გამოდიან სიონისტები, რომლებიც ერთდროულად მოუწოდებენ ებრაელთა მასებს დაეხმარონ მათ ფულებით და ხალხით, რათა ააშენონ „ებრაელთა ქვეყანა" პალესტინაში, ინგლისის იმპერიალიზმის საფარქვეშ, მაშინ ჩვენ გვაწევს მოვალეობა გავაფრთხილოთ ებრაელი მშრომელები სიონისტური „მეგობრების" ზრახვების შესახებ და აუხსნათ ებრაელთა მასებს ნამდვილი მიზეზები სიონისტების ბრძოლისა ბირობიჯანის წინააღმდეგ.

ეხლა, სიონისტების ორმოცდაათი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ პალესტინაში — ებრაელთა კოლონიზაციის სფეროში, ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ სწორედ პალესტინა, რომელსაც ისინი უპირისპირებენ ბირობიჯანს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს მიმზიდველ პუნქტად ფართო ებრაელთა კოლონიზაციისათვის, რომ პალესტინას არამც თუ არ შეუძლია გადასჭრას „ებრაული პრობლემა", არამედ მას არ შეუძლია მისცეს ლუკმა პური რამოდენიმე ათეულ ათას კაცს, რომლების გატყუება „წმინდა" ქვეყანაში შესძლეს მოტყუებითა და სიონისტების დემაგოგიური აგიტაციით.

რომ ეს ასეა, ჩვენ დავამტკიცებთ, როცა ჩვენ პუნქტების მიხედვით შევადარებთ პალესტინისა და ბირობიჯანის ობიექტიურ კოლონიზაციურ პირობებს და ეკონომიურ შესაძლებლობებს. პალესტინისა და ბირობიჯანის პირობების შედარების შემდეგ, დავინახავთ თუ სად მოიპოვება შესაძლებლობა რეალური, პრაქტიკული მუშაობისათვის ებრაელთა ღარიბების ეკონომიური მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლად.

ვარგისი მიწის ფართობის სიდიდე პალესტინასა და ბიროგიჯანში

ბიროგიჯანის პალესტინასთან შედარების და გარჩევის დროს ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ერთი არსებითი საკითხთაგანი: სადა გვაქვს ჩვენ ვარგისი მიწის ფართობის საკმაო ფონდები მასიური კოლონიზაციისათვის.

პალესტინის სამანდატო მთავრობის (ინგლისი) უკანასკნელი ცნობებით ჩვენ გვაქვს პალესტინაში:

1. დამუშავებული ანუ გამოსაყენებელი ნიადაგი— 528.401 ჰექტარი ანუ 28,7 პროც.

2. ცუდი ნიადაგი, რომლის გამოყენება შეიძლება მელიორაციის საშუალებით — 258.732 ჰექტარი ანუ 14,1 პროც.

3. აბსოლიუტურად გამოუსადეგარი ნიადაგი, რომელიც არასოდეს არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სასოფლო მეურნეობისათვის — 707.720 ჰექტარი ანუ 38,5 პროც.

4. მდინარეები, უდაბნოები, ზღვის ქვიშა და სხვ. 344.670 ჰექტარი ანუ—18,7 პროც. სულ 1.839.523 ჰექტარი.

ამგვარად პალესტინის მთელი გამოსაყენებელი მიწის ფართობი იმ მიწასთან ერთად, რომლის გამოყენება მომავალში შეიძლება მელიორაციის საშუალებით—შეადგენს არა უმეტეს 787.133 ჰექტარს ანუ 42,8 პროც. მთელი ფართობისას. დანარჩენი 57,2 პროც. პალესტინის სამანდატო მთავრობის ცნობებით, აბსოლიუტურად უვარგისია სასოფლო მეურნეობისათვის და არასოდეს არ შეიძლება მათი გამოყენება.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ რას წარმოადგენს პალესტინის მიწის ფართობის სიდიდე, რომელიც მხოლოდ კარგ პირობებში შეიძლება იქნეს გამოყენებული სასოფლო მეურნეობისათვის, შევადაროთ იგი უკრაინის ერთ-ერთი ოლქის მიწის ფართობს:

კიევის ოლქი	1.455.926 ჰექტ.
პალესტინა	787.133 „

დასამუშავებელი მიწა პალესტინაში თითქმის სამჯერ ნაკლებია კიევის ოლქთან და თითქმის ნახევარზე ნაკლები იმ შემთხვევაშიც, რომ მათ მომავალში მართლაც შესძლონ, მრავალი მილიონების საშუალებით ამ 258 ათასი ჰექტარის მელიორაცია, რომლებიც სამანდატო მთავრობის ცნობებით შესაძლებელია იქნენ გამოყენებულნი. მარტო ამ ცნობებსაც რომ დავეყრდნოთ, ყველასათვის ცხადი ხდება, რომ მთელ მსოფლიოში ყვირილი — თითქოს პალესტინა ეს ის ქვეყანაა, რომელიც მოწოდებულია იყოს შემგროვ პუნქტად ებრაელთა მილიონებისათვის და, რომელსაც შეუძლია გადასჭრას „ებრაელთა საკითხი" — „გალუთის" ქვეყნებში— ეს არის მხოლოდ შეგნებული შანტაჟი სიონისტური ბურჟუაზიისა.

და აი ციფრები, რომლებიც მოყვანილია დოქტორ ზაგორსკის მიერ, რომელიც ითვლება სიონისტური ორგანიზაციის საკოლონიზაციო განყოფილების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ.

მიწის რაოდენობა დუნამებში[1])

რაიონის სახელწოდება	დამუშავებული მიწები	ცარიელი მიწები, რომლების გამოყენება შესაძლებელია	მიწები, რომელთა გამოყენება შეუძლებელია	ს უ ლ
იუდა . . .	4.090.000	2.750.000	6.000.000	12.840.000
შომრანი . . .	330.000	175.000	500.000	1.005.000
ზემო გალილი .	430.000	135.000	350.000	915.000
ქვემო გალილი .	560.0 0	330.000	850.000	11.740.000
ს უ ლ . .	5.410.000	3.380.000	7.700.000	16.090.000
ჰექტარებში	498.000	312.000	708.000	1.518.000
%% . .	32.8	20.5	46.7	100

*) 1 დუნამი—ჰექტარის $^1/_{10}$.

როგორც ვხედავთ. სიონისტური ხელმძღვანელის ზაგორსკის ციფრებიც ისევე მცირედ მანუგეშებელია სიონიზმისათვის, როგორც სამანდატო მთავრობის ცნობები. ზაგორსკის ცნობები დამუშავებული და ცარიელი მიწების შესახებ აჭარბებენ ზემოთმოყვანილ სამანდატო მთავრობის ცნობებს მხოლოდ 22.367 ჰექტარით და ამიტომ ოდნავადაც ვერა სცვლიან პალესტინის „ბრწყინვალე" პერსპექტივებს ფართო მასიური კოლონიზაციისათვის. ჩვენს განკარგულებაში იპოვება აგრეთვე ციფრები პალესტინის მიწის ფართობის შესახებ, რომლებიც ლორდ სტენგონმა წარუდგინა 1924 წ. ინგლისის პარლამენტს.

მართალია, ჰექტარების რაოდენობა ნაჩვენები ლორდ სტენგონის მიერ, უფრო მეტია, ვიდრე ის რაოდენობა, რომელიც ნაჩვენებია სამანდატო მთავრობის და სიონისტების დოქტორ ზაგორსკის მიერ. სინამდვილეში კი ამ ციფრების არსი ერთი და იგივეა და უფრო ნაზს უსვამს სიონისტების საცოდავ როლს „მათ" სამშობლოში.

ლორდ სტენგონის ცნობებით პალესტინაში მოიპოვება:

1. მიწები, რომლებიც ეკუთვნიან არაბებს და უმთავრესად მუშავდება მათ მიერ—834.000 გა, ან 33,4 პროც.

2. მიწები, რომლებიც ეკუთვნიან ებრაელებს და მუშავდება მათ მიერ—76.000 გა, ან 3 პროც.

3. მიწები, რომლებიც ეკუთვნიან მთავრობას და, რომელთა გამოყენება, შესაძლებელია სამელიორაციო მუშაობის გატარების შემთხვევაში — 67.500 გა, ან 2,7 პროც.

4. მიწები, რომლებიც ეკუთვნიან მთავრობას, მაგრამ სრულებით გამოუყენებელია სასოფლო მეურნეობისათვის—1.522.000 გა ან 60.9 პროც.

სულ: 2.500.000 გა.

რას ამბობენ ლორდ სტენგონის ციფრები?

პირველი. პალესტინის მიწის ფართობის 60,9 პროც. აბსოლუტურად გამოუსადეგარია სასოფლო მეურნეობისათვის, ე. ი. უდაბნოები, ზღვის ქვიშა და ა. შ., რომლებიც არასოდეს არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კოლონიზაციისათვის.

მეორე. 67.000 ჰექტარი, რომელიც იპოვება ინგლისის მთავრობის ხელში, შესაძლებელია იქნეს გამოყენებული მხოლოდ მელიორაციის შემთხვევაში.

მესამე. არც ის მიწა, რომელიც ეკუთვნით არაბებს, და ებრაელებს — ყოველთვის გამოსადეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა სრულებით დამუშავებული, რადგან პალესტინაში დიდი უმიწობაა.

მეოთხე. ებრაელთა „ხსნის" სფეროში 50 წლის მუშაობის შემდეგ, ებრაელები ამუშავებენ პალესტინის მიწის ფართობის არა უმეტეს 3 პროცენტისას, ან 8.3 პროც. ვარგისიანი ნიადაგისას.

სიონისტები ფლანგავდენ ათეულ მილიონებს და დაბოლოს მათ შერჩათ ხელში ვარგისი მიწა არა იმაზე მეტი, რაც უკრაინის მშრომელ ებრაელთა მასებმა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან მარტო კრივოროჟის ოლქში.

მნიშვნელოვანი მიწის ფართობები, რომლებიც გამოჰყო საბჭოთა ხელისუფლებამ ებრაელი ღარიბებისათვის უკრაინაში, ბელორუსიაში და ყირიმში და აგრეთვე წარმატებითი კოლონიზაცია ათასობით ებრაელ ოჯახებისა, რომლებმაც სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სამიწადმოქმედო შრომას — არ აძინებს სიონისტებს. ვინაიდან მიწაზე მოწყობილმა ამ ათასმა ოჯახებმა ნათლად დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს მშრომელი ებრაელთა ინტერესებისათვის და უნდა სინამდვილეში გადასწყვიტოს ე. წ. „ებრაელთა საკითხი" და დაამტკიცეს სიონისტური კოლონიზაციის მთელი უსუსურობა.

აი რას სწერს ერთ-ერთი სიონისტური ბელადთაგანი რობერტ სტრიკერი „სიონისტურ ყოველკვირეულში" № 2950—15 ოქტ. 1925 წ.:

„საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ის აძლევს ებრაელებს მიწის ფართობს უფასოდ ხერსონისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე და, რომ ის დაეხმარება ებრაელ გლეხებს მოსაწყობად. მაგრამ ეს მოითხოვს, რომ თანხები, რომელიც საჭიროა ამ ღონისძიებისათვის, შეგროვილ იქნეს თვით ებრაელების მიერ. ვინაიდან ებრაელებს კი არაფერი არ გააჩნიათ და ფულის შეგროვების ცდას თვით რუსეთში არ ექნებოდა არავითარი წარმატება — ამისათვის საბჭოთა მთავრობამ მიმართა საზღვარგარეთის ებრაელობას, განსაკუთრებით კი ამერიკის ებრაელობას. ებრაელ-ამერიკელმა ხელმძღვანელმა ფილანტროპებმა, კერძოდ კი „ჯოინტის" პრეზიდენტებმა ლუი მარშალმა და ფელიქს ვარბურგმა განაცხადეს თანხმობა შეაგროვონ მსხვილი შეწირულების საშუალებით 15 მილიონი დოლარი და გადასცენ ეს მნიშვნელოვანი თანხები საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში. წინასწარი ზომები უკვე მიღებულია და უახლოესი კვირეების განმავლობაში, ამერიკის ებრაელობა შეუდგება ამ ღონისძიებას, რომელიც წარმოადგენს უდიდეს მომტყუებლობას ებრაელთა მიმართ".

რობერტ სტრიკერი, უეჭვოდ გულღია კაცია და იმავე დროს ნერვიული. იგი არ უარჰყოფს, რომ იგი ღრმად აღშფოთებულია მით, რომ ამერიკელი ფილანტროპები ლუი მარშალი და ფელიქს ვარბურგი წამოეგენ საბჭოთა მთავრობის „ანკესზე" და მზად არიან შეაგროვონ 15 მილიონი დოლარი საბჭოთა კავშირის ებრაელთა გადასახლებულებისათვის. არა ნაკლებ აღშფოთებულნი არიან დანარჩენი სიონისტები, რომლებიც თუმცა ისე აშკარად არ ლაპარაკობენ, როგორც რობერტ სტრიკერი და ეძებენ სხვა მიზეზებს საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწადმოწყობის წინააღმდეგ.

სიონისტები ელოდენ, რომ მიწის ფართობები უკრაინასა, ბელორუსიასა და ყირიმში მალე გამოილეოდა და მაშინ ისინი კვლავ მოატყუებდენ მთელ მსოფლიოს თავისი პალესტინით.

და უცბად — მთელი იმედები დაემსხვრათ. როგორც საპნის ბუშტი. საბჭოთა მთავრობამ გადასცა ებრაელი მშრომელების განკარგულებაში — მთლიანი მიწის მასივი — თითქმის 4 მილიონი გა. ეს მიწა იმყოფება ამურის მხარის სამხრეთის ბოლოში მანჯურიის საზღვარზე და მიიმართება ხაბაროვსკამდე, რომელიც არის ადმინისტრატიული ცენტრი შორეულ აღმოსავლეთის მხარისა. დასავლეთით და სამხრეთით ბიროობიჯანის რაიონი შემორტყმულია რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე — მსოფლიოში ერთი უდიდესი მდინარით — ამურით, რომელიც აერთიანებს ამ რაიონს აღმოსავლეთით ბლაგოვეშჩენსკთან, ხოლო დასავლეთით — ხაბაროვსკთან და ნიკოლოზის საზღვაო ნავთსადგურთან. თვით რაიონის ტერიტორიაზე კი ჩამოდიან მდინარეები — ბირა და ბიჯანი, რომლებიც ვარდებიან ამურში და აერთიანებენ რაიონის შინაგან ნაწილს ზემოდაღნიშნულ პუნქტებთან.

გარდა ამისა. სამასი კილომეტრის მანძილზე, ამ რაიონის გზით გადის უდიდესი ციმბირის რკინის გზა. რომელიც აერთიანებს რაიონს საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილთან. ციმბირთან და ტრანსბაიკალთან და აგრეთვე ვლადივასტოკთან და ხაბაროვსკსთან.

ბიროობიჯანი იყოფა ორ ნაწილად. უდიდესი ნაწილი რაიონისა — სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ — დაბლობია, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთისაკენ — მთიანია.

დაბლობს აქვს ნაყოფიერი ნიადაგი. რომელიც დაფარულია მაღალი ბალახიანი მცენარეულობით. დაბლობზე შეიძლება დასახლება, გარდა იმ მოსახლეობისა, რომელიც უკვე არის იქ—50.000 ოჯახისა.

მთიანი ნაწილი, უმთავრესად დაფარულია ხშირი ტყით. მთებს შორის მოიპოვება მნიშვნელოვანი ფართობები — გამოსადეგი სოფლის მეურნეობისათვის—რომლებიც თავის დროზე იქნება გამოყენებული გადასახლებულთა მიერ. გარდა ტყისა, მთიანი ნაწილი შეიცავს აგრეთვე მრავალ სასარგებლო მინერალებს. როგორც მაგ.:

რკინა, სპილენძი, ოქრო, სურმა, გრაფიტი, ასბესტი, ქვანახშირი და მარმარილო, რაც ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს აღნიშნულ რაიონში ინდუსტრიის განვითარებისათვის.

შორეულ აღმოსავლეთის საგადასახლებო მმართველობის ცნობებით, ამ რაიონის ფარგლებში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოჰყო ებრაელთა გადასახლებისათვის, მოიპოვება შემდეგი რაოდენობის მიწები:

1. ფართობი, ადვილად გამოსაყენებელი	1.542.136 გა.
2. ჭაობიანი ფართობი, რომელიც საჭიროებს სერიოზულ მელიორაციას	508.149 გა.
3. მთიანი და ტყიანი ადგილები	1.845.149 გა.
სულ	3.895.708 გა.

პირველი ფართობი, რომელიც შეიძლება ამთავითვე იქნეს გამოყენებული სასოფლო მეურნეობისათვის ან, რომელიც საჭიროებს ნაწილობრივ მელიორაციას — თითქმის ისევე დიდია, როგორც მთელი პალესტინა თავი უდაბნოებით, ზღვის ქვიშებით და ქვიანი მთებით.

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს სარეზერვო ფონდი ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი ჭაობიანი ფართობი, რომელიც საჭიროებს სერიოზულ სამელიორაციო მუშაობას, რომელიც გატარებულ იქნება თანდათან, რის შემდეგაც რამოდენიმე წლების განმავლობაში ეს ფართობი გაშრება და გამოყენებულ იქნება სასოფლო მეურნეობისათვის.

ამგვარად, — ბიროობიჯანთან მეტოქეობა პალესტინას არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ სიონისტები აწარმოებენ ასეთ გააფთრებულ ბრძოლას ებრაელთა მიწადმოწყობის წინააღმდეგ საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ კი ბიროობიჯანში.

რისთვის აქვთ სიონისტებს მცირე მიწები პალესტინაში?

პალესტინაში არსებობს კაპიტალისტური კანონები, რომელთა თანახმად კერძო საკუთრება მიწაზე არ არის

გაუქმებული. პალესტინაში არ არსებობს შესაძლებლობა თუნდაც ერთი ჰექტარის საჩუქრად მიღებისა, ებრაელთა კოლონიზაციისათვის. ეს შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში.

ამისთვის საჭიროა გამოვარკვიოთ როგორი პერსპექტივები აქვთ სიონისტებს პალესტინაში მიწის დიდი ფართობების მიღებისათვის ებრაელთა კოლონიზაციისათვის და რამდენად დაუჯდება ეს ებრაელ კოლონისტს.

თანახმად ზემოდმოყვანილი ლორდ სტენგონის ციფრებისა, პალესტინის მიწას ჰყავს სამი პატრონი. სამანდატო მთავრობის განკარგულებაშია — სამოცდა ოთხი პროცენტი პალესტინის მთელი მიწის ფართობისა. არაბებს ეკუთვნით ოცდაცამეტი პროცენტი, ხოლო დანარჩენი სამი პროცენტი იმყოფება სიონისტების ხელში. სიონისტებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, მიიღონ თავის განკარგულებაში სრულიად უფასოდ, ან თუნდაც მცირე თანხების დახარჯვით ის მიწის ფართობები, რომლებიც ეკუთვნის მთავრობას. მაგრამ ეს მიწა ისეთია, რომ აბსოლიუტურად გამოუსადეგარია დამუშავებისათვის. უდაბნოები, ქვიანი მთები, ზღვის ქვიშა და ღრმა ჭაობი—არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობისათვის. სიონისტებს რჩებათ ერთად - ერთი გამოსავალი: შეიძინონ მიწა ებრაელი კოლონისტებისათვის არაბებიდან. ამ დროს კი სიონისტები აწყდებიან უდიდეს სიძნელეებს, რომლებიც აქარწყლებენ მთელ მათ მუშაობას ამ სფეროში.

ვინაიდან პალესტინაში აგრარული მოსახლეობა გადაჭარბებით ცხოვრობს, ამიტომ იქ დიდი მიწის კრიზისია. პალესტინის მთავრობის მიერ 1922 წ. ჩატარებული აღწერით, არაბების სოფლის მოსახლეობა შეადგენს 511.130 სულს. გარდა ამისა სასოფლო მეურნეობას მისდევს აგრეთვე არა ნაკლები 100.000 სული არაბთა მოსახლეობისა, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში—იაფო, ხაიფა, შეხემ, ხებრონ, ცეფათ და სხვ. ამგვარად, სულ არაბთა მიწის მუშა მოსახლეობა — წარმოადგენს არა ნაკლებ 611.000 სულისას. თუ გამოვაკლებთ საერთო

არაბთა მიწათსარგებლობას უვარგისი ნიადაგის იმ ნაწილს (ლორდ სტენგონის ციფრებით — 834 ათასი ჰექტარი), რომლის გამოყენება სრულებით არ შეიძლება სასოფლო მეურნეობაში, მაშინ მივიღებთ გლეხის ოჯახის ყოველ სულზე არა უმეტეს 0,86 ჰექტ. ვარგისი ნიადაგისას, ანუ 4,3 ჰექტ. — გლეხის ოჯახზე. სრულიად გასაგებია, რომ ასეთ მწვავე უმიწობის დროს არაბთა მკვიდრ მოსახლეობის დროს, მხოლოდ ავანტიურისტებს შეუძლიათ იყბედონ პალესტინაში ებრაელთა ფართო კოლონიზაციის შესაძლებლობაზე.

როგორ ხდება, რომ სიონისტები მაინც იღებენ მიწას პალესტინაში? სულ მარტივად. ისინი ამას ჩადიან არაბი გლეხის ხარჯზე. პალესტინაში ეხლაც არსებობენ ნახევრად ფეოდალური კლასობრივი ურთიერთობანი მემამულესა და გლეხის შორის. არაბთა მთელი მიწადსარგებლობის 834 ათასი ჰექტარიდან — მხოლოდ პატარა ნაწილი მიწისა ეკუთვნება არაბი გლეხების ხელში და ისიც დაყოფილია პატარ პატარა ნაჭრებად. პალესტინაში შეიძლება შევხვდეთ ათას გლეხურ მეურნეობებს, რომელთა მიწა შეადგენს ნახევარს, სამ მეოთხედს და ხშირად მთელ ჰექტარს და ეს ხომ ერთადერთი საარსებო წყაროა მთელი გლეხის ოჯახისათვის. მაგრამ დიდი ნაწილი არაბთა მიწათსარგებლობისა იმყოფება არაბი მემამულეების ხელში; ეს მიწები საუკუნეების განმავლობაში მუშავდება გლეხი — მეიჯარადრეების მიერ, რომლებიც აძლევენ მემამულეს თავისი შემოსავლის ნაწილს.

ასეთი მდგომარეობის დროს არც შეიძლება ლაპარაკი გლეხებიდან მათი ლუკმა მიწების შესყიდვის შესახებ. რჩება მხოლოდ არაბი მემამულის მიწა, რომელიც თანხმდება გაჰყიდოს თავისი მამული, თუ იგი მასში მიიღებს ძალიან მაღალ ფასს. ის ფაქტი, რომ ამ დროს ერეკებიან მიწებიდან არაბ გლეხ-მოიჯარადრეს, ეს ისევე ნაკლებად აწუხებს არაბ მემამულეს, როგორც სიონისტებს.

მაგალითად: სოფელ ნაჰალალში, რომელშიაც სულ დასახლებულია სამოცდა თხუთმეტი ებრაელის ოჯახი, სიონისტებმა გადიხადეს 160.000 მანეთი ოქროთი და გარდა ამისა 300.000 მანეთი დაუჯდათ ნიადაგის მელიორაცია. სულ — 460.000 მანეთი, რაც შეადგენს საშუალოდ, 8000 მანეთს — ოჯახზე.

კოლონია გილბაში, რომელსაც აქვს მიწის 64 გა. სიონისტებმა გადიხადეს 110.000 მანეთი ოქროთი, რაც შეადგენს 1720 მანეთს ჰექტარზე. ამ 64 ჰექტარზე დაასახლეს 26 ოჯახი, რომელთაც მიეცათ მიწის ნაჭერი 2½ ჰექტარი ოჯახზე. ამგვარად, ყოველ ოჯახს დასჭირდა გადაეხადა 4231 მან. მიწის საფასური.

კოლონია „ხეფცი-ბო"- რომელსაც აქვს 127 ჰექტარი, დაუჯდა სიონისტურ ორგანიზაციას 178 ათასი მანეთი. დაასახლეს შიგ 23 ოჯახი 5½ ჰექტარი მიწის ნაჭერით; ყოველმა კოლონისტმა უნდა გადიხადოს 7.710 მანეთი.

თუ მიწის ნაჭრები პალესტინის კოლონისტებს არა აქვთ დიდი, სამაგიეროდ ვალები კი ბლომადა აქვთ. ისინი მარად ვალში არიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნულ თანხებში არ არის გათვალისწინებული მელიორაციის ხარჯები. ეს ხარჯები მიწის ფასს ადიდებენ თითქმის ორჯერ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. დიდი თანხები, რომლებსაც სიონისტები უხდიან არაბ მემამულეს მიწაში, არ აძლევს მათ გარანტიას, რომ შესყიდული მიწა იქნება მათი. ვინაიდან ვიდრე ამ მიწაზე დაასახლებდენ ებრაელ კოლონისტს, აუცილებელია ძველი მცხოვრებელი არაბი გლეხების გარეკა, რომლებიც ამუშავებდენ ამ მიწას თავისი ოფლით და სისხლით და რომლებიც რჩებიან ეხლა თავისი ოჯახით ყოველგვარი საარსებო სახსრის გარეშე. მაგრამ სიონისტებს ეხმარება პოლიცია და ჟანდარმები, ეს ერთგული დამცველები კაპიტალისტური კერძო საკუთრებისა — და დაუნდობლად ერეკებიან არაბ გლეხებს სიონისტების მიერ შესყიდული მიწებიდან. გლეხები უწევენ წინააღმდეგობას. რომე-

ლიც ხშირად მთავრდება სისხლისმღვრელი შეტაკებით არაბ და ებრაელი მოსახლეობის შორის. ამიტომაცაა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მიუხედავად ყველა საშუალებებისა, რომლებსაც მიმართავენ სიონისტები იმისათვის, რომ გარეკონ გლეხები მათი მიწებიდან, მაინც არაბების ნაწილი რჩებიან თავის მინდვრებზე, ასე მაგ. 15 წლის წინედ, იორდანის მდინარესთან როტშილდმა შეიყიდა ხუთი ათასი ჰექტარი მიწა. და მაინც თითქმის დღევანდლამდე. იქ ცხოვრობს რამოდენიმე ათასი არაბის ოჯახი, რომელთა გარეკა მიწიდან სიონისტებმა ვერ მოახერხეს. როდესაც შეიყიდეს მიწა სოფელ ნაჰალალში, რომელიც დაუჯდათ სიონისტებს 460.000 მან. სიონისტები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ მესამედი მთელი შესყიდული მიწის ფართობისა ძველ მცხოვრებ არაბი გლეხებისათვის. ასეთი ფაქტებით სავსეა პალესტინის ებრაელთა კოლონიზაციის ქრონიკა. თქმულება — „ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება"-ო ყოველთვის არ სრულდება პალესტინაში. მართალია მსხვილი თანხებით, თანდათანობით შესაძლებელია არაბი მემამულეებისაგან მიწის შესყიდვა, მაგრამ ეს ყოველთვის არ კმარა არაბი გლეხების გასარეკად. მხეცური ზომები, რომლებსაც მიმართავენ სიონისტები არაბი გლეხის მიმართ, იწვევენ არაბი მოსახლეობის უდიდეს მტრობას. ებრაელ კოლონისტს პალესტინაში ყოველთვის ეშინია არა მარტო თავის ქონებისა, არამედ სიცოცხლისაც კი. აი რით შეიძლება ახსნილ იქნეს, რომ ებრაელთა მთელი მიწადსარგებლობა პალესტინაში წარმოადგენს ცოტა მეტს 70 ათას ჰექტარზე. ყოველივე ეს კი— 50 წლის მუშაობის შედეგად. უფრო სამარცხვინო გაკოტრებული — ძნელი წარმოსადგენია.

სიონიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიულ მოძრაობას, რომელსაც სურს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ეკონომიურად სასოწარკვეთილებამდე მისული ებრაელი წვრილი ბურჟუაზია და დეკლასირებული ელემენტები კაპიტალისტურ ქვეყნებში. სიონისტები სპეკულიაციას

ეწევიან აღნიშნული ფენების ცუდი ეკონომიური მდგომარეობით და აზმედებენ მათ, რომ პალესტინაში ისინი ააშენებენ ებრაელთა სახელმწიფოს და რომ ბოლო-ბოლოს შეჰქმნიან ნაცარ კუთხეს მათი მომავალი ეროვნული არსებობისთვის. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ სიონიზმს ჰქონდა და ნაწილობრივ დღესაც აქვს გავლენა ებრაელთა წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. თუმცა ორმოცდაათი წლის მუშაობის შედეგები პალესტინაში ადასტურებენ იმას, რომ ყოველგვარი იმედები „თავის საკუთარ" ქვეყანაზე არის მხოლოდ სიზმარი, მაინც ეს ფენები კიდევ მხარს უჭერენ სიონისტურ მოძრაობას, ვინაიდან „საკუთარი ქვეყნის" იმედის გარეშე წვრილი ბურჟუაზიის სიცოცხლე იქნებოდა კიდევ უფრო ცარიელი და უიმედო.

სრულიად სხვაგვარადაა საქმე ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ებრაელთა მოსახლეობის ეკონომიური ბაზის გარდაქმნას და იღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ გადაიყვანოს ებრაელი ღარიბები და დეკლასირებული მასები ნაყოფიერი შრომის უფრო საღ ეკონომიურ რელსებზე. ებრაელი ღარიბების ნაწილი ებმება ფაბრიკებსა და ქარხნებში, მეორეს — დიდ ნაწილს, საბჭოთა ხელისუფლება უქმნის ხელსაყრელ პირობებს სამიწადმომქმედო შრომაზე გადასვლისათვის. ის ფაქტი, რომ ებრაელი ღარიბები საბჭოთა კავშირში თანდათანობით იქცევიან ნამდვილ მშრომელებად და ამგვარად ეხმარებიან საბჭოთა კავშირს სოციალისტურ აღმშენებლობაში — სრულებით აყრუებს სიონისტების სასოწარკვეთილ ყვირილს.

ებრაელ დეკლასირებულს, ყოფილ წვრილ ვაჭარს, არაკვალიფიცირებულ კუსტარს და საერთოდ ღარიბებს, აქვთ სრული შესაძლებლობა გაერკვენ, რა უფრო ხელსაყრელია ჩათვის: პალესტინაში წასვლა ზემოაღნიშნულ პირობებში თუ ბირობიჯანში, სადაც არ არის საჭირო პოლიკიისა და ჟანდარმების მოსყიდვა, რომ იარა-

ლით ხელში გარეკონ ძველი მცხოვრები გლეხები; სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს ეროვნული ღვარძლი და სისხლის მღვრელი შეტაკებანი; სადაც უკვე შეუდგენ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ბირობიჯანში ებრაელი მშრომელები შეიქნებიან მშენებლები ახალი ქვეყნისა არა მარტო კულტურული, არამედ სახელმწიფო გაგებითაც. აქედან ცხადია, რომ შიმზიდველი პუნქტი იქნება და არის არა პალესტინა, არამედ ბირობიჯანი.

როგორც ვხედავთ, პალესტინის ობიექტიური პირობები ისეთია, რომ იქ შეუძლებელია ებრაელთა მოსახლეობის რაიმე მასიური კოლონიზაცია.

ახლა განვიხილოთ შემდეგი: რის მიღება შეუძლიათ ებრაელ გლეხებს პალესტინაში იმის შემდეგ, რაც მათ განვლეს ცეცხლში და წყალში, განიცადეს ათასი გაჭირვება, იმის შემდეგ, რაც მიწა შესყიდულ იქნა მემამულე არაბისაგან და გლეხი არაბიც უკვე განდევნილია ამ მიწიდან. ამისათვის საჭიროა გავეცნოთ შემდეგ ცხრილს:

ფასი და სიდიდე გლეხის მეურნეობისა პალესტინასა და ბირობიჯანში. ხარჯები ერთ გლეხის მეურნეობაზე პალესტინაში

კოლონიის სახელწოდება	კოლონ ის მიწის რაოდენობა ჰექტარებში	მეურნეობის რაოდენობა კოლონიაში	რამდენი დაჯდა მიწა ათას მან-	რამდენი დაჯდა საშენელიორაციო ინვენტარი და აღჭურვილობა ათას მანეთებში	რამდენი დაჯდა მთელი კოლონია ათას მანეთებში	რამდენი ჰექტარი მიწა მოდის ერთ გლეხურ მეურნეობაზე	რამდენი დაჯდა ერთი გლეხური მეურნეობა
დილბა	64	26	1 0	153	263	2,4	9346
ხულდა	198	21	110	375	485	9	23118
გან-შემქელ	54	16	22	1 1	193	3,3	12085
მერხაბია .	218	20	10	202	305	10,9	15290
ხეფცი-ბო .	127	23	178	89	267	5,5	11598
დგანია .	113	24	2	173	192	4,7	8200
ქინერეთ .	128	32	32	205	237	3,8	8033

როცა ვიხილავთ ამ ცხრილს, უპირველეს ყოვლისა თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ კოლონიის მიწის ფართობი მეტად მცირეა. ყველაზე დიდი კოლონია ქი-

ნეოეთი ითვლის 32 ოჯახს. მერხაბიას აქვს უფრო დიდი მიწის ფართობი ვიდრე ქინერეთს და იქ მაინც ვერ მოხერხდა 20 ოჯახზე მეტის დასახლება. უეჭველია, რომ ნაწილი მიწისა აქ არ ვარგა სოფლის მეურნეობისათვის.

ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენს ნათქვამს, რომ მსხვილი თანხებითაც მიტად ძნელია პალესტინაში მნიშვნელოვანი მიწის ნაკრების მიღება. ამიტომაც სიონისტები სჯერდებიან ისეთი „უდიდესი" ტერიტორიებით", ოოგორც დილბა—64 ჰექტარი ან კიდევ გან-შემუელ—54 ჰექტარი. კოლონიები შემდგარი 16 ან თუნდაც 32 ოჯახიდან—უეჭველად გამოიწვევენ კოლონისტების კულტურულ ჩამორჩენილობას. ასეთ კოლონიას არ შეუძლია შეინახოს მასწავლებელი ბავშვებისათვის, თავი რომ დავანებოთ სხვა უფრო მაღალი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ყოველივე ეს სიონისტური „მხსენელებისათვის" არაფერია. მათთვის სრულებით საკმარისია, როცა მათ აქვთ შესაძლებლობა ეროვნული სიღარიბის თანხებით ტრიალისა და ყვირილი მთელ მსოფლიოზე. რომ იმათმა გააბედნიერეს ებრაელი ხალხი კიდევ ერთი „კოლონიით".

მიწის ნაკრები ებრაელთა კოლონიებში—მეტად უმნიშვნელოა. ყველაზე დიდი ნაკერი კოლონია ხულდაში —წარმოადგენს არა უმეტეს 9 ჰექტარისას, მაგრამ არის ისეთი ნაკრებიც, როგორც. კოლონია გან-შემუელში — 3,3 ჰექტ., დილბეში—2.4 ჰექტარი, ქინერეთში—3,6 ჰექტარი, დეგანიაში—4.7 და ა. შ. მოვიყვანოთ კიდევ ზოგი ციფრები:

მიწის ნაკერის სიდიდე პალესტინის კოლონიებში:

ტიხა	3,3 ჰექტარი	ბეთალფა . . .	3,6 ჰექტარი
კარკირ	3,9 „	ცერიფინ . . .	6.1 „
იაჟურ	3,7 „	ჟინჟარ	4 „
გივა	7 „	თელ-იოსეფ . .	4.4 „

ეს ციფრები საკმარისად ცხადჰყოფენ, თუ როგორი „ბედნიერი" ცხოვრება შეუძლია შეჰქმნას ებრაელ კოლონისტს ამხელა ფართობზე. მაგრამ ბევრიც რომ ჰსურ-

დეთ სიონისტებს არ შეუძლიაო ებრაელ კოლონისტს მისცენ დიდი ფართობი—ვინაიდან პალესტინაში საშინელი უმიწობაა.

მიუხედავად ნაჭრების სიპიტარავისა—მეურნეობა პალესტინაში მეტად ძვირი ჯდება. ყველაზე უფრო იაფი მეურნეობა კოლონია ქინერეთში, რომელიც შესდგება 3.7 ჰექტარიდან, ღირს 8 ათას მანეთზე მეტი, გან-შემუელში—3.3 ჰექტარი—12 ათას მანეთზე მეტი. კოლონია ხულდაში კი ნაჭერი 9 ჰექტარში უჯდება კოლონისტურ მეურნეობას 23 ათას მანეთზე მეტი.

როგორია მდგომარეობა ბიროობინჯაში? ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში მიწაზე ფულს არ იხდიან. ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის საჩუქარი მშრომელთა მასებს. თავისუფალი მიწა ბიროობინჯაში რამდენიც გინდა და ამიტომ ჩვენ გვაქვს საშუალება ძივცეთ გადასახლებულებს საკმარისი მიწა, რომელსაც შეუძლია სავსებით უზრუნველჰყოს მათი საშუალო ცხოვრების დონე. დანარჩენი სამეურნეო ხარჯები, როგორც მაგ. მელიორაცია, სახლების აშენება, უძრავი და მოძრავი ინვენტარის შეძენა და ა. შ.—კომზეტის მიერ გამოანგარიშებული ხარჯთაღრიცხვით 2.200 მანეთზე ცოტა მეტია. ამ თანხას უნდა გამოვაკლოთ 600 მანეთი, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავის თავზე და აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო ატარებს მელიორაციას, საგზაო მშენებლობას, უბნების კანალიზაციას და ა. შ.

მაშასადამე—ხარჯები ერთ გადასახლებულ ოჯახზე ბიროობინჯაში წარმოადგენს 1.600 მანეთს. ამ თანხას გადასახლებულთა კოლექტივი იღებს კრედიტების სახით სახელმწიფოდან, რომელსაც იგი იხდის მთელი რიგი წლების განმავლობაში.

იმ ფულებით, რომლებსაც სიონისტები ხარჯავენ ერთ კოლონისტურ მეურნეობაზე პალესტინაში, ჩვენ შეგვეძლო მოგვეწყო ბიროობინჯაში ათეული ოჯახები. აქედან ცხადია, რომ პალესტინაში ებრაელთა კოლონიის აშენება ნიშნავს—საზოგადოებრივი ფულების ფლანგვას.

კლიმატიური პირობები ბირობიჯანსა და პალესტინაში

სიონისტებს მეტად უჭირთ მიწის მიღება ებრაელთა კოლონიებისათვის პალესტინაში. ძველი მეთოდები—მიწების შესყიდვა მემამულეებისაგან და შემდეგ სასამართლოსა და ჟანდარმების დახმარებით „გაწმენდა" შესყიდული მიწისა არაბი გლეხებისაგან—უკვე არ ვარგა. 1921 წ. პალესტინის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც მემამულე როცა ჰყიდის თავის მამულს, ვალდებულია უზრუნველჰყოს ნაჭრებით თავისი უვადო მოიჯარადრეები. არაბი გლეხების აქტიური წინააღმდეგობა და აგრეთვე მემამულეთა ვალდებულება გლეხების უზრუნველყოფისა სხვა, თუმცა არა დიდი მიწის ნაჭრებით—ჰქმნის თითქმის შეუძლებელს სიონისტებისათვის ახალი ფართობის მოპოებისათვის.

არაბი მასების რევოლუციონური მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმისა და სიონისტების—ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების—კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ—უფრო ნათლად ცხადჰყოფს სიონისტური ბურჟუაზიის ანტიეროვნული ზრახვების სრულ გაკოტრებას. სისხლისმღვრელ ამბებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1929 წ. აგვისტოში, პალესტინაში, გვიჩვენეს, რომ „ებრაელთა ცხოვრების" აშენება ასი ათასი არაბი გლეხობის განადგურებაზე—ეს ნიშნავს მეურნეობის მოწყობას ვულკანზე.

მაგრამ სიონისტები მაინც აგრძელებენ თავის კოლონიზატორულ მუშაობას. მისგან უარჰყოფა—ეს ნიშნავს მთელი ქვეყნის წინაშე თავისი სრული გაკოტრების აღიარებას. ამითი ისინი დასწყვეტდენ კაპიტალისტური ქვეყნების ებრაელთა ბურჟუაზიის ნაციონალისტურ ილიუზიებს. თავისი გაკოტრების უარყოფა—ეს ნიშნავს უარის თქმას ებრაელთა ბურჟუაზიისაგან მსხვილი საჩუქრების მიღებაზე და აგრეთვე ინგლისის იმპერიალიზმისაგან, რომლებიც გადაიქცევენ ნამდვილ საარსებო წყაროდ ათასი სიონისტი მოხელისათვის და მათ მახლობლებისათვის.

რჩება მაშასადამე ერთი გამოსავალი: გარეკონ ხალხი პალესტინის ჭაობებში.

ის გარემოება, რომ ამ ჭაობიან ადგილებში იღუპებიან ციებ-ცხელებით ათასობით ხალხი, ძალიან არ ადარდებს სიონისტების „მხსნელებს".

პალესტინის სიონისტური ორგანიზაციის საკოლონიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი რუფინი სწერს „აითიაშბუთ ახაკლაით"-ში (სასოფლო-სამეურნეო კოლონიზაცია), რომ ეს ჭაობები—ბუდეა მალარიისა და წარმოადგენს ქვეყნისათვის უბედურებას; უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ეს გარემოება წარმოადგენდა მიზეზს ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე წამებისას, ავოწყვეტისას. ათასგან შეიძლება ნახვა იმ ადგილებისა, სადაც წინედ მოსახლეობა იყო. მათი მცხოვრებნი დაიხოცნენ, ან კიდევ მიატოვეს ჭაობიანი ადგილები და დასახლდენ მთებში. პალესტინის ებრაელი კოლონისტები ძეტად იყვნენ შევიწროებულნი მალარიით და ზოგიერთ კოლონიებში, როგორც მაგ. ხედერაში, იოესოდ ამაყლა-ში, მიშმარ აიარდენში—კოლონისტების მნიშვნელოვანი წაწილი დაიხოცა, ხოლო დანარჩენები იქცენ ინვალიდებად.

1923 წ. ჩატარებულ იქნა სტატისტიკური გამოკვლევა ერთი უძველესი კომუნის გან-შემუელის, რომელიც დაარსებულია შომრონის ჭაობებში. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ კომუნის არც ერთი პირველ დამაარსებელთაგანი აღარ დარჩა. თურმე, კომუნის ყველაზე უფრო მტკიცე და ერთგული წევრებიც ვერ სძლებენ სამ წელზე მეტს. კომუნაში ბევრი დაიხოცა, ბევრი ინვალიდათ იქცა. კოლონისტები სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა—თელ-იოსების, აშომერ აცაყირისა და ხეფცი ბოსი, რომლებიც იმყოფებიან „იზრეყელის ვაკეში", დღემდე იძულებული არიან თავისი ბავშები იყოლიონ ებრაელთა მეორე სოფელში ქეფარ-იეხისკიელში, რომელიც იმყოფება მთაზე, რის გამოც ნაკლებადაა ციება.

იაკობ რაბინოვიჩი სწერს ჟურნალ „აფოყელ აცა-ჟირ"-ში, რომ ის ადგილი, სადაც ეხლა იპოვება კომუნა „მერხაბია" იწოდება აგრეთვე მოსახლეობის მიერ „ადგილად, სადაც ბავშები არ სცოცხლობენ". ციება აქ ისეთი ძლიერი იყო, რომ აღნიშნულ პირობებს უფრო შეჩვეული არაბი ბავშებიც კი—თითქმის ყველანი დაიხოცნენ. კოლონია მერხაბიას პირველ ებრაელთა კოლონისტების ცხოვრება წარმოადგენს საშინელ სურათს, დედების აუწერელ ტანჯვას, რომლებსაც მიჰქონდათ მსხვერპლად მალარიის ბაცილისათვის თავისი სიცხლი და ოფლი, თავისი პატარა ბავშები. როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა ბიროობიჯანში? ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ბიროობიჯანში მრავალი ჭაობიანი ადგილებია. ეს აიხსნება იმით, რომ ნიადაგის ზედაფენა იქ დაფარულია ჰორიზონტალურად განშტოებული ფესვების ხშირი ზოლით, ზაფხულობით წვიმების დროს, ეს ზოლი იქვინთება წყლით, იბერება და არ უშვებს წვიმის წყალს სიღრმეში. ამის გამო ბიროობიჯანში მოიპოვება ე. წ. „გნუს"-მრავალი მწერები, რომლებიც ზაფხულის თვეებში აწუხებენ ხალხს და ცხოველებს. საჭირო იქნება მრავალი ძალისა და საშუალების გამოყენება, ვიდრე ჩვენ ამოვაშრობთ ამ ჭაობიან ადგილებს და განვთავისუფლდებით „გნუსიდან". **მაგრამ მალარიის კოლო, რომლისგანაც საფრთხე მოელოდება გადასახლებულთა ჯანმრთელობას ბიროობიჯანში არ არის.**

აი რას სწერს, პროფესორი ბრუკი, რომელიც ედგა კომზეტის მიერ გაგზავნილ ბიროობიჯანის საგამომკვლევო ექსპედიციას სათავეში, ამ რაიონის კლიმატიური და სანიტარული პირობების შესახებ:

„ადგილობრივი მოსახლეობა არ სჩივის ზამთრის სიცივეების გამო. პირიქით, ზამთარს სთვლიან მეტად ხელსაყრელად: ზამთარი აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას ნადირობაზე და ტყის მრეწველობაზე ფულის შოვნისას. ადგილობრივი კლიმატის დადებითი თვისებები აიხსნება ამ რაიონის თავისებურობით, რომელიც

შემორტყმულია მთებით ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამის გამო კი არ არის ძლიერი ქარები, ამინდი წყნარია, არ იცის ზღვის ქარიშხალი, ტაიფუნი და ღრუბლები. ამინდი მზიანია, ამინდი მშრალია მთელი წლის განმავლობაში, ორი-სამი ზაფხულის წვიმიანი თვეების გამონაკლისით. ამიტომაც იქ უფრო ადვილია ზამთრის სიცივეების ატანა. რაიონი დამაკმაყოფილებელია აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური მხრითაც. ყოველივე კარგადაა ტუბერკულიოზისა და მალარიის საკითხში. რაიონს აქვს საკმაოდ ჯანსაღი კლიმატი და ჯანსაღი წყალი—თავის მდინარეებსა, წყაროებსა და ჭებში. „გნუსი" არ იწვევს არავითარ ავადმყოფურ მოვლენებს. ეს მწერები გავრცელებული არიან აგრეთვე ევროპიული ნაწილის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებშიც. საკმაოდ გასაგებია, რომ ველურ, დაუსახლებელ მხარეში ეს მწერები ძალიან გამრავლდებიან, რომლებიც იკვებებიან ნიადაგის ყოველგვარი დამპალი ნარჩენებით. მართალია, ტაიგაში „გნუსი" წარმოადგენს მეტად მძიმე მოვლენას, მაგრამ გაშლილ ადგილებში, იქ, სადაც გადასახლებულთა მიწადმოწყობა იწარმოებს მთელი რიგი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით ახლოს დასახლებულ პუნქტებთან—იქ „გნუსი" არ იქნება ასე საშინელი. მით უმეტეს, **როცა ჩნდება მოსახლეობა, როცა მიწა იხნება, ხმება და ყალიბში დგება, „გნუსი" სრულებით ჰქრება".**

აი რას სწერს, დოქტორი გორბანოვიჩი თავის წიგნში „ხაბაროვსკის კლიმატი"—გამოცემული 1894 წ.

.... კლიმატი ჯანსაღია. ჯანმრთელი ხალხი ძალიან ადვილად იტანენ მას. ის არ მოქმედობს საკმაოდ კარგად —სუსტ. გამხდარ და მოავადმყოფო ხალხზე. სიკვდილიანობა ხაბაროვსკის რაიონში ისეთივეა, როგორც ცენტრალური რუსეთის დანარჩენ ქალაქებში, ხოლო ბავშვების სიკვდილიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპიულ რუსეთში. სიკვდილიანობა ტუბერკულიოზის გამო—ძალიან მცირეა. რაიონის მშრალი ჰავა საკმაოდ არ უწყობს ხელს ეპიდემიურ ავადმყოფობათა გავრცელებას. მალარია ამ რაიონში არ არის განვითარებული. მედიცინის

პრაქტიკაში—მალარიით დაავადების შემთხვევები—წარმოადგენს იშვიათობას".

ჩვენ ვხედავთ—სპეციალისტების მტკიცებით, რომ კლიმატი სავსებით ჯანსაღია. ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა მოვუსმინოთ ასეულ გადასახლებულთა ავტორიტეტულ აზრს, რომლებმაც გაატარეს ბიროობიჯანში ორი წელიწადი. ჩვენ მოვისმინეთ გადასახლებულთა ერთი ნაწილის ჩივილი „გნუსის" გამო: ზოგიერთმა ამის გამო კიდეც მიატოვეს ფონდები.

მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გაგვიგონია, რომ. რომელიმე გადასახლებულს დაეჩივლოს არაჯანმრთელი კლიმატის გამო, რომლის გადატანა ძნელი იყოს.

ის ფაქტი, რომ გადასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გადიყვანეს იქ თავიანთი ცოლები და შვილები, საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ ბიროობიჯანის კლიმატი ჯანსაღია: არც ერთ გადასახლებულს არ დასჭირდება მალარიის კოლოს მსხვეპლად შესწიროს თავისი პატარა შვილები. ეს რაიონი, მალარიის მიმართებით გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კრივოროჟის და ხერსონის ფონდები, სადაც გადასახლებულები ხანდახან განიცდიან მალარიით შეწუხებას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრივოროჟის და ხერსონის ოლქებში მალარიით სიკვდილის შემთხვევები არასოდეს არ ყოფილა, რადგან იქ არ არის „ისრაელის ქვეყნის" „წმინდა" ჭაობები.

სამეურნეო ეკონომიური პერსპექტივები ბიროობიჯანსა და პალესტინაში

იმათ, ვინც ნაკლებად იცნობენ პალესტინის ობიექტიურ სამეურნეო პირობებს და ცხოვრობენ კიდევ ძველი ხედვრის ფანტაზიებით, სადაც მელამედი (რელიგიის მასწავლებელი) მოუთხრობდა მათ, რომ პალესტინა—ეს ის მხარეა, სადაც ყველანი თავისუფლად სუნთქავენ, სადაც ჩამოდის თაფლისა და რძის მდინარეები, სადაც ბულკები იზრდებიან ხეებზე—შეუძლიათ იფიქრონ, რომ ისეთ

სამოთხეში, როგორიც პალესტინაა, კოლონისტები არ საჭიროებენ უფრო დიდ მიწის ფართობს, ვიდრე მათ აქვთ. ალბად, იქ ისეთი კარგი მიწაა, რომელზედაც ყველაფერი ასე კარგად იზრდება, რომ აღარ არის საჭიროება დიდი მიწის ნაკვეთებისა. მაგრამ ზღაპრები ბულკებისა და თაფლის მდინარეების შესახებ—რჩება ზღაპრებად. ხოლო ფაქტები ლაპარაკობენ შემდეგს:

საშინელი უმიწობის გამო პალესტინაში არ არის მინდვრები და ბუნებრივი საძოვრები. მიწის ყოველი მტკაველი, რომლის გამოყენებაც კი შეიძლება ხვნისათვის—გამოყენებულია. საძოვრად რჩება ჭაობები, მთები და ზოგიერთი ვაკე მთებს შორის. არაბის პატარა ძროხებიც კი ვერ უძლებენ ამ პირობებს, რის გამოც პალესტინაში აშენებენ მხოლოდ თხებს და ცხვრებს.

1922 წ. მთელ პალესტინაში იყო 24.681 ძროხა და 57.735 ხბო; ეს შეადგენს საშუალოდ 0.2 ძროხას და ნახევარ ხბოს გლეხის ოჯახზე. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმ გარემოებისა, რომ პალესტინაში შეუძლებელია მესაქონლეობის ფართო განვითარება. რაღაც საეჭვოა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც თხები სცვლიან ძროხებს, ჩამოდიოდეს რძის მდინარეები. აქედან ისიც ცხადია, რომ ებრაელ კოლონისტმა დიდი იმედი არ უნდა დააყაროს სარძეო მეურნეობაზე. უკეთ არაა მდგომარეობა არც მეფუტკრეობის დარგში. ხოლო რაც შეეხება „ბულკებს", ფაქტიურად მოსავლიანობა პალესტინაში გაცილებით დაბალია ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ამის დასამტკიცებლად შევადაროთ ოფიციალური ცნობები პალესტინის მთავრობისა საშუალო მოსავლიანობის შესახებ პალესტინაში—ერთ ჰექტარ მიწაზე — ბირობიჯანის ციფრებთან.

საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე პალესტინაში.
საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ბირობიჯანში.

ხორბალი	35 ფ.	59 ფ.
ქერი	60 „	70 „
სიმინდი	33 „	63 „

პალესტინის ერთეული საუკეთესო მცოდნე გ. იარი

აკეთებს შემდეგ ანგარიშს: ერთ ძროხის საკვებად მთელი წლის განმავლობაში—პალესტინის მოსავლიანობის მიხედვით საჭიროა იქონიო არა ნაკლები 5 ჰექტარი მიწისა. ქათამი სჭამს წელიწადში 2 ფუთ მარცვალს. ამგვარად მიწის ერთ ჰექტარს შეუძლია გამოკვებოს არა უმეტეს 20 ქათმისა. შედეგად ვიღებთ, რომ კოლონისტები კი არ სჭამს ქათამს, არამედ ქათამი სჭამს კოლონისტს.

მოსავლიანობა პალესტინაში ისე დაბალია, რომ ამ ქვეყანას არ შეუძლია გამოიკვებოს თავისი პროდუქტებით და ამიტომ იძულებულია ყოველწლიურად შემოიტანოს პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან. ასე მაგ. 1924 წ., შედარებით, კარგი მოსავლის დროს, პალესტინაში იყო შემოტანილი: ხორბალი—7 მილიონი კგ., ქერი—10 მილიონი, ფქვილი—10 მილიონი, ბრინჯი—8 მილიონი, ცერცვი—4 მილიონი, ხილი—2 ნახევარი მილიონი კგ., ქართოფილი—4 მილიონი კგ. და ა. შ.

ერთ-ერთმა მსხვილმა სპეციალისტმა საკოლონიზაციო საკითხებში ამერიკელმა პროფესორმა მიდმა, რომელიც ეწვია 1924 წ. პალესტინას, განუცხადა იერუსალიმის გაზეთის „დოარ ჰაიმის" კორესპონდენტს: „უნდა გითხრათ სიმართლე, რომ ჩემის აზრით, არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ იმ კოლონიზაციის წარმატებისა, რომელსაც ატარებენ სიონისტები. მიუხედავათ მსხვილი ფულადი თანხებისა და ენერგიისა, რომელსაც ხარჯავენ ისინი ამ საქმეზე, დეფიციტები და აგრეთვე დახმარებები, რომლებსაც იღებენ ებრაელი კოლონისტები სიონისტური ორგანიზაციებიდან—არ არის დროებითი მოვლენა, არამედ მუდმივი".

ამერიკელ პროფესორს არავითარი ამერიკა არ ალმოუჩენია. არ არის საჭირო პროფესორობა იმის მისახვედრათ, რომ ზემოდაღნიშნულ პირობებში სრულიად შეუძლებელია სამიწადმოქმედო შრომით თუნდაც ღარიბული არსებობა პალესტინაში. ამ უმნიშვნელო მოსავლიდან საჭიროა კიდევ ყოველგვარი ბეგარის გადახდა და კოლონისტს რჩება მხოლოდ უკიდურესი მინიმუმი გადაუდებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამიტომაც კოლონისტების უდიდესი ნაწილი პალესტინაში—იძულებული შეიქნა დაბრუნებოდა ძველ ხელობას—ვაჭრობას. ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელსაც ვერ შეეძლო ხელი მოეკიდებინა ვაჭრობისათვის—ცხოვრობს ნახევრად მშიერი და აგრძელებს თავის არსებობას ყოველწლიური სუბსიდიებით. ერთაერთი იმედი ამ მარადიული ლარიბებისა—დაუბრუნდენ ისევ ქლაქებს ან და პირველი შესაძლებლობისთანავე სავსებით წავიდენ „წმინდა" ქვეყნიდან უკან „გალუთისაკენ". აუარებელი კოლონისტები ბრუნდება უკან. ვისაც კი შეუძლია ხსნა—შველის თავისთავს.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია პალესტინის საკითხი. სიონისტები ხშირად სპეკულიაციას ეწევიან პალესტინაში არსებულ ებრაელთა აპელსინის პლანტაციებზე, ნუშზე, ყურძენზე და ზეთისხილზე. ამიტომ საჭიროა რამოდენიმე სიტყვის თქმა პალესტინის ამ „დელიკატესების შესახებ.

1925 წ., სიონისტური ორგანიზაციის ცნობებით, ებრაელთა მიწათსარგებლობა პალესტინაში ნაწილდება შემდეგნაირად:

ჰექტარი, ანუ პროც.

აპელსინის პლანტაციები	1.100	1,3
ნუშის	3.000	3,5
ყურძნის	1.560	1.8
ზეთისხილის	920	1,1
მინდვრის კულტურები	62.500	73.5
ტყე	2.00	2,3
გამოუყენებელი მიწები	13.920	16.5
სულ	85.000	100

აღნიშნული ციფრები სწორადაც რომ მივიჩნიოთ, საერთო სურათი ამისაგან სრულებით არ შეიცვლება.

თუ მთელ ებრაელთა მიწათსარგებლობის მიწას პალესტინაში გამოვაკლებთ ტყის ფართობს, გამოუყენებელ

მიწას და ნიადაგს სამინდვრე კულტურებისათვის, მაშინ პალესტინის ყველა „დელიკატესებზე" დარჩება არა უმეტეს 7,8 პროც საერთო მიწათსარგებლობისა.

პალესტინაში 2 ჰექტარიანი სააპელსინო პლანტაციის მოწყობისათვის საჭიროა ყოველგვარი სხვა ხარჯების გარდა, სარეზერვო კაპიტალი 15—18 ათასი მან., რომლების გამოყენება უნდა შეიძლებოდეს ყოველ წუთში. ვინაიდან მუშაობაში პატარა შესვენებასაც კი შეუძლია მოსპოს მთელი პლანტაცია. ამგვარად, სააპელსინო პლანტაცია წარმოადგენს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას. რომელიც მისაწვდომია მხოლოდ „რჩეულთათვის" და არა ფართო კოლონისტთა მასებისათვის. ამიტომაც არის ასეთი მოვლენა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი მოგებისა, რომელსაც იძლევიან აპელსინის პლანტაციები, მათი საერთო ფართობი მაინც უმნიშვნელოა. რაც შეეხება დანარჩენ „დელიკატესებს", უნდა ითქვას, რომ პალესტინის ნიადაგი ყოველთვის არ არის მათთვის ვარგისი. ზეთისხილი პალესტინაში ვერ ხეირობს. ზოგიერთ ადგილებში კიდეც სთხრიან ზეთისხილს რომ ნიადაგი გამოიყენონ სხვა კულტურებისათვის.

ბირობიჯანში კი არის ყველა ობიექტიური პირობები, მომგებიანი და კულტურული გლეხური მეურნეობისათვის.

კლიმატიური პირობები და ნიადაგის ნაყოფიერება იძლევიან საშულო მოსავლიანობას 20 პროც. მეტს, ვიდრე საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში. გარდა ამისა. ბირობიჯანის ნიადაგის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა გვარი კულტურებისათვის, დაწყებული სუბტროპიკულით როგორც ბრინჯი, ჩინური ცერცვი, თურქული თამბაქო და ა. შ., და აგრეთვე ზომიერი კლიმატის კულტურებით, როგორ მაგ. შაქრის ჭარხალი, ყურძენი, სელი, ფხვიარა და ა. შ.

შემდეგ. ბირობიჯანის დიდი მინდვრები თავის ხშირი ნაღალი მცენარეულობით უქმნიან გადასახლებულებს ბრწყინვალე შესაძლებლობას მესაქონლეობის ფარ-

თო განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფილია ბაზრით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბირობიჯანის მეურნეობისათვის მეფუტკრეობასაც. სკის პროდუქტივობა აღწევს ბირობიჯანში 53 კილოგრამამდე და მოაქს წლიური მოგება, ადგილობრივი ფასებით — 15-დან 20 მანეთამდე სკაზე. ის ფაქტი, რომ რაიონი დაქსელილია მდინარეებისა და ხევების ფართო ქსელით და რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე გარშემორტყმულია ამურით—ჰქმნის აგრეთვე ხელსაყრელ პირობებს მეთევზეობისათვის.

დაბოლოს, სასოფლო მეურნეობასთან ერთად, ამ მხრივ ეკონომიურ ცხოვრებაში უდიდეს როლს ითამაშებენ ხელუხლებელი ტყის მასსივები და სხვადასხვა სასარგებლო მინერალები. ეს ჰქმნის შესაძლებლობას აღნიშნულ რაიონში ინდუსტრიის მთელი რიგი დარგების განვითარებისათვის.

ბირობიჯანის რაიონის ობიექტიური პირობები უქადის კარგ ეკონომიურ პერსპექტივებს დეკლასირებულ და ღარიბ ღატაკ ებრაელთა ათეულ ათას ოჯახებს. ბირობიჯანი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და კლიმატიური პირობებით გადიქცევა უახლოეს მომავალში მიმზიდველ პუნქტად ებრაელ გადასახლებულთა დიდი მასებისათვის. იქ იქნება შექმნილი ახალი სახალხო მეურნეობა სოციალისტურ საფუძველზე, იქ იქნება მოწყობილი ნაციონალურ - ადმინისტრატიული რაიონი. ეს არ არის ილიუზია და ოცნება. ეს მტკიცე რწმენაა პროლეტარიატის დიქტატურის შემოქმედებით ძალებში და ებრაელი ღარიბების მისწრაფება იმისაკენ, რომ გახდენ მშენებლები სოციალისტური საზოგადოებისა საბჭოთა კავშირში.

ჩვენ არ ვამცირებთ უდიდეს სიძნელეებს, რომელიც დაკავშირებულია რაიონის თვისებასა და გამოყენებასთან. მაგრამ საგადასახლებო მუშაობის შედეგები უკრაინასა, ბელორუსიასა და ყირიმში, სადაც გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობის პირობები ხშირად

არა ნაკლებ მძიმეა, ვიდრე ბირობიჯანში—არის საუკეთესო გარანტია იმისა, რომ ჩვენი პროლეტარული ენერგიით დავძლებთ ყველა სიძნელეებს ბირობიჯანში.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიძლება შეიქნას ერაული გლეხობა

სიონიზმის თეორიულ საფუძვლად ითვლებოდა ის გარემოება, რომ ებრაელები — ერთადერთი ხალხია მსოფლიოში, რომელსაც არა აქვთ „თავისი" სახალხო მეურნეობა — სხვა ხალხების მსგავსად, რომელთა შორის იგი ცხოვრობს. ამიტომაც ებრაელები თითქოს იძულებული არიან ხელი მიჰყონ უმთავრესად ვაჭრობას, შინამრეწველობას ან სხვა თავისუფალ პროფესიებს. იმისათვის, რომ ებრაელებს შეეძლოთ იცხოვრონ ნორმალური სახალხო მეურნეობის ნორმალურ ეკონომიურ პირობებში, ამისათვის აუცილებელია მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც მისცემდენ შესაძლებლობას გამოჰყონ თავისგან ყველა აუცილებელი კლასები თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებისა. ეს, ჯანსაღი სახალხო მეურნეობით, უნდა ჰყავდეს, სიონისტების აზრით, თავის საკუთარი კაპიტალისტები, ბანკირები, სახლთმფლობელები, ვაჭრები, შინამრეწველები, ფაბრიკის მუშები და უმთავრესად მიწადმომქმედები; მიწადმოქმედებას ისინი სთვლიან სახალხო მეურნეობის ცენტრალურ ნაწილად. ხოლო ებრაელთა მეურნეობის შექმნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ებრაელებს ექნებათ სხვა ხალხების მსგავსად, თავის საკუთარი სახელმწიფო, საკუთარი მთავრობით, „მამების აღთქმულ ქვეყანაში" — პალესტინაში.

რას ვხედავთ? მიაღწია თუ არა „ებრაელის ხალხმა", უფრო სწორად ებრაელთა ბურჟუაზიამ, რომელსაც სურდა მიეღო ებრაელი მუშისა და გლეხის ექსპლოატაციის მონოპოლია, თავისი „იდეალების" განხორციელებას პალესტინაში? შექმნილია თუ არა პალესტინის ებრაელთა მოსახლეობაში „აუცილებელი" კლასები თანა-

მედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისა და უმთავრესად ებრაელი გლეხობა? — არა. ებრაელი გლეხობა პალესტინაში არ არის და არც შეიძლება იყოს: მოტყუებით, დემაგოგიით და მხეცობით არაბი გლეხის მიმართ არ შეიძლება ებრაელი გლეხის შექმნა.

დოქტორ რუფინის მტკიცებით, ებრაელი მოსახლეობის საერთო რაოდენობა პალესტინის ყველა სასოფლო სამეურნეო კოლონიებში შეადგენს 23.000 სულს. მაგრამ სასოფლო სამეურნეო შრომით ცხოვრობს არა უმეტეს 10.000 სულისა. კოლონიების დანარჩენი მოსახლეობა — არიან შინამრეწველები, ხელოსნები, ვაჭრები, თავისუფალი პროფესიების ხალხი, მოხელენი და საერთოდ „ჰაერის ხალხი" გარკვეული ხელობის არმქონე. ამგვარად პალესტინის კოლონიების ეკონომიური საფუძველი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჩვენი უკრაინის და ბელორუსიის დაბებში. იმას, რასაც ჩვენ გავურბივართ, როგორც ცარიზმის წყეულ მემკვიდრეობას, უბრუნდებიან სიონისტები პალესტინაში. გარდა ამისა, თვით პალესტინის ებრაელი მიწადმომქმედი, რომელსაც სიონისტები სთვლიან ჭეშმარიტ მიწადმომქმედად, უმეტეს ნაწილად-არ არის ნამდვილი გლეხი, იგი უფრო ნახევარვაჭარია და ნახევარექსპლოატატორი სხვისი იაფი შრომისა.

თვით ჩვენშიაც, საბჭოთა კავშირში, სადაც კერძო საკუთრება ჩაკლულია, ხოლო ვაჭარი პოლიტიკურად უუფლებო, რომელიც ეზიზღება მთელ პროლეტარულ საზოგადოებრიობას, ჩვენ დაგვჭირდა გადასახლების პირველ წლებში გვეწარმოებინა შეუპოვარი ბრძოლა გადასახლებულების ზოგიერთი ჯგუფების ჩარჩულ მიდრეკილებებთან, რომელთაც ეძნელებოდათ უცბად აეღოთ ხელი თავის ვაჭრულ ჩვეულებებზე. ჩვენ დაგვჭირდა აგრეთვე გვებრძოლა დაქირავებული სამუშაო ძალის გამოყენების წინააღმდეგ, რასაც ეწეოდენ ზოგიერთ გადასახლებულთაგან — ყოფილი ვაჭრები. მაგრამ პალესტინა ხომ „კაპიტალისტური" ქვეყანაა. სადაც სხვისი სამუშაო ძალის ექსპლოატაციაა ითვლება სა-

ზოგადოებრივი წყობის საფუძვლად. ვაჭრობა იქ ითვლება საპატიო ხელობად და ვისაც კი აქვს საშუალება უფრო მეტი გასწიოს სხვისი ექსპლოატაცია, უფრო მეტი ისპეკულიანტოს, მოატყუოს და გაასულელოს სხვები — ის ითვლება ყველაზე უფრო პატივსაცემ კაცად.

პალესტინის ებრაელთა მოსახლეობის 80 პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში და უფრო ეტანებიან ძველ ებრაულ პროფესიებს და არა მიწადმოქმედებას. თელაბიბში, პალესტინის ამ „დედაქალაქში", სადაც არის 30.000 კაცისაგან შემდგარი მოსახლეობა — მოიპოვება ორიათასზე მეტი ებრაელთა დუქნები. ებრაელი გეტტოს ყველა ძველი ტიპები: ვაჭრები, მაკლერები, მელამედები, რაბინები, მსახურები, მათხოვრები და საერთოდ ყოველნაირი „პირები გაურკვეველი პროფესიით" კვლავ მოეწყენ და გაიშენეს თავისთვის ძირამდე დამპალი და უნიადაგო ბუდე იერუსალიმის „წმინდა" მიდამოებში.

ერთად ერთი ქვეყანა, სადაც შეიძლება შეიქმნას ახალი ებრაელი გლეხობა ეს არის საბჭოთა კავშირი. აქ იპოვება ამისათვის ყველა აუცილებელი და ხელსაყრელი პირობები. სამიწადმოქმედო შრომაზე გადასვლა ჩვენში — ეს არ არის იდეალი „ებრაული" სახალხო მეურნეობის შექმნისათვის, არამედ ეკონომიური აუცილებლობა ათასი ოჯახებისათვის.

ჩვენში საბჭოთა კავშირში არ არის და არც შეიძლება იქნეს განცალკევებული „ნაციონალური" მეურნეობა. ჩვენში მხოლოდ ერთი-ერთად ერთი, საბჭოთა სოციალისტური მეურნეობაა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელები. ურყევად აშენებს მუშათა კლასი სოციალისტურ საზოგადოებას. ამისათვის აუცილებელია კერძო კაპიტალის გამოდევნა ყველა მისი, როგორც ინდუსტრიალური და სასოფლო - სამეურნეო, აგრეთვე სავაჭრო პოზიციებიდან. ინდუსტრია თითქმის მთელი 100 პროცენტით იმყოფება პროლეტარული სახელმწიფოს ხელში. კოოპერაციის განვითარება ქალაქად და სოფლად გადაჭრით ერეკება კერძო სავაჭრო კაპიტალს ყველა თავის პოზი-

ციებიდან. ათასი ოჯახები, რომლებიც ცხოვრობდენ ვაჭრობით, იძულებული გახდენ ეძებონ სხვა სამუშაო. როგორადაც ძლიერ არ უნდა იყოს ძველი ჩვეულებები და ფიზიკური სამუშაოსათვის ხელის მოკიდება — ეგინი იძულებული არიან ეს ჰქნან. თუ მათ არ შეუძლიათ მოეწყონ ფაბრიკაში, მათ არაფერი არ უშლის ხელს, რომ დეკლასირებული ლარიბები — „ჰაერის ხალხი" სილარიბით მცხოვრებნი გადავიდენ სამიწადმომქმედო შრომაზე.

ინდუსტრიის განვითარება და ნედლეულის გეგმიანი განაწილება ერეკება თვით ერთეულ შინამრეწველებსაც ყველაზე უფრო ჩამორჩენილ პროფესიებიდან. მათი კვალიფიცირებული ნაწილი მიიწევს არტელებისა და ფაბრიკებისაკენ, ხოლო არაკვალიფიცირებული — სამიწადმომქმედო შრომისაკენ.

მაგრამ საყურადღებო ფაქტორი ისაა, რომ ჩვენში ხელისუფლება ეკუთვნის სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასს. სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების ფართო მშრომელთა მასების აქტიური მონაწილეობისა და უდიდესი სურვილების გარეშე. ამ ერთადერთ პრინციპს მშრომელთა მასების ჩაბმისას სოციალისტურ მშენებლობაში — საბჭოთა ხელისუფლება იყენებს აგრეთვე ებრაელთა მასების მიმართ. იმისათვის, რომ ებრაელ მშრომელმა მასებმა შესძლონ მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, აუცილებელია, რომ ისინი წარმოადგენდენ საწარმოო ელემენტს. დეკლასირებულ მასებს შეუძლიათ მხოლოდ ხელის შეშლა და არა სოციალიზმის აშენება. ამიტომაც საკითხი ამ მასების ჩაბმისა საწარმოო შრომაში —არის ჩვენთვის არა კერძო საქმე, არამედ სახელმწიფო. თუ ამჟამად შეუძლებელია ებრაელების ამ ნაწილის სოციალიზმისაკენ წარმართვა ინდუსტრიის გზით, საჭიროა მათი წარმართვა სასოფლო სამეურნეო შრომით, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციით და კოლექტივიზაციის გზით — სოციალიზმის მშენებლობაში. ებრაელი ლარიბების მოწყობა ისეთივე ინტე-

რეას წარმოადგენს პროლეტარული სახელმწიფოსათვის, როგორც თვით ებრაელი ლარიბებისათვის. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლება იღებს ყველა აუცილებელ ზომებს იმისათვის, რომ დააჩქაროს და გაადიდოს ეს გადასვლის პროცესი ქალაქიდან სოფლად. მიწას იღებენ უფასოდ. სახელმწიფო აძლევს ხანგრძლივ ვადიან კრედიტებს შელავათიან პირობებში. მეურნეობა თავიდან კოოპერირებულია და ამიტომაც ძალზე იაფი ჯდება. გარდა ამისა გადასახლებული იღებს მთელ რიგ შელავათს გადასახლებისა და თავისი მეურნეობის მოწყობის დროს. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ ებრაელთა სასოფლო მეურნეობა ჩქარა გაიზარდა და საფუძვლიანად განმტკიცდა. კაპიტალისტურ ქვეყანაში არც შეიძლება ლაპარაკი ამის შესახებ; იქ არ არის არავითარი ობიექტიური პირობები ებრაელთა მასიური კოლონიზაციისათვის.

მეორე ხელსაყრელ ფაქტორად საბჭოთა კავშირში წარმატებითი კოლონიზაციისათვის არის ის, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ გაანადგურა ძველი შეხედულებები და გარდაქმნა მასების ფსიქოლოგია. წინანდელი ვაჭარი, ეს „საპატიო" უსაქმური დღეს აღარ არის საპატიო. ის განწირულია სასაცილოდ და დასალუპად. ის ითვლება პოლიტიკურად უუფლებო არსებად საბჭოთა კავშირში. სამაგიეროდ, ყოფილი „მეჯლანე" და მიწის მუშა („ფოიერ"), რომელთა სახელწოდებაც კი სამარცხვინო და დამამცირებელი იყო ძველ ებრაელთა წრეში, — ეხლა ჩადგენ პირველ რიგებში.

მუშა, რომელიც ითვლებოდა ოჯახის ჩირქად — შეიქნა ქვეყნის პატრონი. მართალია, საზღვარგარეთაც წვრილი ვაჭარი იდევნება თავის ეკონომიური პოზიციებიდან, რომელსაც არა აქვს საშვალება ებრძოლოს მსხვილ კაპიტალს. მაგრამ იქ იგი იქცევა დეკლასირებულ ლიუმპენ-პროლეტარად.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთადერთი ქვეყანა, სადაც არის ხელსაყრელი პირობები ებრაელთა გლეხობის შესაქმნელად — ეს არის საბჭოთა კავშირი. პალესტინაში კიდეც რომ იყოს საკმარისი თავისუფალი მიწის ფართობი ფართო მასიური კოლონიზაციისათვის, პალესტინის ნიადაგი კიდეც რომ არ იყოს ჩვენსაზე უარესი, ხალხი კიდეც რომ არ იხოცებოდეს იქ ციებით — მაშინაც კი სიონისტური ბურჟუაზიის იდეალი პალესტინაში ებრაელთა გლეხობის შექმნისა — იგი დარჩებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ უტოპიად.

რისთვისაა სიონისტური ბურჟუაზია ბირობიჯანის წინააღმდეგი?

უმთავრეს როლს აქ თამაშობს ორი ფაქტორი: ებრაული ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ და უცხოეთის ბურჟუაზიის თანხები. კაპიტალისტურ ქვეყნებში ებრაელთა მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიური მდგომარეობა — აუტანელია. კაპიტალიზმის განვითარების საერთო კანონების გარეშე, რომელიც ერეკება ებრაელებს წვრილი ხელოსნებისა და ვაჭრების პოზიციებიდან, აქ ემატება გაბატონებული ერის ბურჟუაზიის გააფთრებული ბრძოლა ებრაელი ვაჭრისა და შინამრეწველის წინააღმდეგ. მთავრობის მანქანისა და ნაციონალურ სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით, ისინი ძირს უთხრიან ებრაელთა წვრილი ბურჟუაზიის არსებობას და ამგვარად თავისუფლდებიან საშიშარი კონკურენტებისაგან. როგორც დევნილი ეროვნული უმცირესობა, ებრაელთა წვრილ ბურჟუაზიას არ ძალუძს დაიცვას თავისი ეკონომიური პოზიციები და ეკონომიურად უფრო და უფრო ნადგურდება. ეკონომიურად უნიადაგო და პოლიტიკურად დევნილი ებრაელთა წვრილი ბურჟუაზია ეძებს გამოსავალს თავის უნუგეშო მდგომარეობიდან. ებრაელი პროლეტარიატი მოუწოდებს წვრილ ბურჟუაზიას დაეხმაროს მას კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგ ბრძო-

ლაში — სოციალური რევოლიუციისათვის, რომელმაც უნდა დაამხოს არსებული წესრიგი. ამის წინააღმდეგ გამოდის ებრაელი ბურჟუაზია. იგი მთელი თავის არსებით დაინტერესებულია კაპიტალისტური საზოგადოების არსებობაში. სოციალიზმი — მისი მოსისხლე მტერია. და ამიტომაც იგი ყოველნაირად ცდილობს, დააარწმუნოს ებრაელთა მასები, რომ კაპიტალიზმი კი არაა დამნაშავე მათ ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში, არამედ მიზეზი იმაშია, რომ ებრაელები ყველგან წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას, ცხოვრობენ „გალუთში" და არა აქვთ საკუთარი ებრაული სახელმწიფო. ებრაელი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც იდეოლოგიურად უფრო ახლოა ბურჟუაზიასთან, ვიდრე პროლეტარიატთან, დადგა კაპიტალისტურ ქვეყნებში სიონიზმის დროშის ქვეშ. თეორიამ, რომ მხოლოდ „ებრაელთა სახელმწიფოს" შეუძლია იხსნას ებრაელი ხალხი დალუპვისაგან, შეჰქმნა საშუალება რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ეტყუებინა ებრაელთა მასები. ათეული მილიონები ოქროთი, ჩაყრილია პალესტინის ჭაობებში და არაბი მემამულეების ჯიბეებში; ათასობით ხალხი, რომელიც დაილუპა მალარიის გამო, მხეცური მოქმედება არაბი გლეხების მიმართ — ყოველივე ეს „აუცილებელი" მსხვერპლი იყო ებრაელი ხალხის ინტერესებისათვის.

სიონისტური მოღვაწეობის სრულმა გაკოტრებამ პალესტინაში და პროლეტარულმა რევოლიუციამ საბჭოთა კავშირში, სადაც ებრაელმა მასებმა მიიღეს შესაძლებლობა შეჰქმნან მტკიცე ეკონომიური პოზიციები ინდუსტრიალური და სასოფლო სამეურნეო შრომის გზით, — შეუქმნეს კატასტროფიული მდგომარეობა პალესტინის ავანტიურას. თვით საბჭოთა კავშირში კი, სიონიზმმა დიდიხანია დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა: ებრაელთა მასებში.ეს უქადის აგრეთვე საშიშროებას მის გავლენას ებრაელთა მასებზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამიტომაც საკითხი ებრაელ ლარიბების მიწად-

მოწყობის ჩაშლისა — საბჭოთა კავშირში — წარმოადგენს სიონისტებისათვის სიკვდილსიცოცხლის საკითხს.

მეორე ძირითად მიზეზად სიონისტების გააფთრებულ ბრძოლისა ებრაელთა მიწადმოწყობის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოდ კი ბიროობიჯანის წინააღმდეგ — ითვლება ის გარემოება, რომ მათ ეშინიათ დაჰკარგონ საერთაშორისო სიონისტური „თანხების" შემოსავალი და ინგლისის იმპერიალიზმის „სიმპატიები", რომელსაც სიონიზმმა საუკუნოდ დაუკავშირა თავისი ბედი.

მთელ რიგ ქვეყნებში ეხლა არსებობენ მასიური მუშათა ორგანიზაციები (იკორ, პროკორ, და ა.შ.) რომლებიც ისახავენ მიზნად ყოველნაირად დაეხმარონ ებრაელთა მიწადმოწყობას საბჭოთა კავშირში. ყოველი მშრომელის წინაშე საზღვარგარეთ საკითხი პირდაპირ დგას, ვის უნდა მისცეს თავისი შრომის წვლილი: პალესტინას თუ საბჭოთა კავშირს. ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა რეალური, პრაქტიკული მუშაობით სიონისტებისათვის სრულიად შეუძლებელია. ამიტომ მათ რჩებათ ერთადერთი გზა: მოტყუებით და ჭორებით გაუბრუნონ თავი ებრაელთა მასებს. ისინი ჰყვირიან, რომ ებრაელთა გადასახლება საბჭოთა კავშირში — გამოგონებაა, რომ ბიროობიჯანი - ილიუზიაა და რომ ის არასოდეს არ შეიძლება იყოს მასიურ ცენტრად ებრაელთა კოლონიზაციისათვის, რომ ებრაელი მასები არასოდეს იქ არ წავლენ და ა. შ. და ა. შ.

მათ იმედი აქვთ, რომ დემაგოგიით და მოტყუებით შესძლებენ შეაჩერონ საგადასახლებო მუშაობა საბჭოთა კავშირში და რომ ამგვარად თავს დააღწევენ საშიშარ კონკურენტს, მაგრამ ეს ისეთივე უტოპიაა, რა გორც ებრაელთა მასიური კოლონიზაცია პალესტინაში.

ებრაელთა დასახლება საბჭოთა კავშირში არის ორგანიული შემადგენელი ნაწილი ქვეყნის საერთო სოციალისტური მშენებლობისა და ისევე, როგორც მსოფლიო ბურჟუაზია ვერ შესძლებს შეაჩეროს სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში. აგრეთვე სიო-

ნისტები ვერ შესძლებენ შეაჩერონ ებრაელ-ღარიბების სამიწადმოქმედო შრომაზე გადასვლა.

სიონისტების ბრძოლა საზღვარგარეთ და აგრეთვე საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწადმოწყობის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოდ კი ბირობიჯანის წინააღმდეგ — ეს არის უმთავრესად ებრაელი ბურჟუაზიის ბრძოლა ებრაელი ღარიბების წინააღმდეგ და წარმოადგენს ნაწილს მთელი კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის საერთო ბრძოლისას საბჭოთა კავშირისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 8.214/2